სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

52493671694519

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190478506

რეგისტრაციის თარიღი

02.05.2019 წ

ნოტარიუსი: ანჟელა მანია
მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
ტელეფონი: 5 (93) 677685; ელ.ფოსტა amania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი
მინდობილობა

ორიათას ცხრამეტი წლის ორ მაისს, მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია,** მომმართა შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: **ვაჟა ნასყიდაშვილმა.** მან, როგორც **შპს "ორიენტ ლოჯიკი"-ს დირექტორმა,** განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს: **ვიტალი ჯაგინოვს. ვაჟა ნასყიდაშვილმა** მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი დამოწმება სანოტარო წესით ჩემს მიერ. მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე შევამოწმე **ვაჟა ნასყიდაშვილის,** როგორც **შპს "ორიენტ ლოჯიკი"-ს (რეგისტრირებული 20/11/1995 წ. ს/ნ 202052054, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19048241, 25/04/2019 14:33:15, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვასო გოძიაშვილის ქუჩა #71) დირექტორის** უფლებამოსილება წარმოდგენილი დოკუმენტით: **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.**

მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი: **ვაჟა ნასყიდაშვილმა (დაბ: 07.10.1962 წ. თბილისში, პ/# 01020002516, რეგ. მის: ქ. თბილისი, ნ. დობროლუბოვის ქ. #8) - შპს "ორიენტ ლოჯიკი"-ს დირექტორმა,** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, **როგორც „მიმნდობი", ვიტალი ჯაგინოვს (დაბ: 25.11.1964წ. თბილისში, პ/# 01010003971),** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, **როგორც „მინდობილი",** მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი
მინდობილი პირი უფლებამოსილია:

იყოს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის წარმომადგენელი, ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საზოგადოების დირექტორს კანონით და საზოგადოების წესდებით და აწარმოოს საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება. აწარმოოს მოლაპარაკება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დადოს მათთან კანონით გათვალისწინებული ყველა სახის გარიგება დირექტორის უფლებამოსილების ფარგლებში, ხელი მოაწეროს დადებულ ხელშეკრულებებს, შეიტანოს მათში ცვლილებები და გააუქმოს ისინი.

ასევე იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ნებისმიერ ბანკში, ბანკის ნებისმიერ ფილიალში, სერვის-ცენტრში, განყოფილებაში. მართოს და განკარგოს საზოგადოების სახელზე გახსნილი ნებისმიერი სახის ანგარიში (ანაბარი). ამისათვის შეასრულოს ნებისმიერი საბანკო-საფინანსო ოპერაცია (ფულადი თანხების შეტანის, გამოტანის, ჩარიცხვის, გადარიცხვის, კონვერტირების, განაღდების, ახალი ანგარიშის გახსნის, ანგარიშის დახურვის უფლებით), შეუზღუდავად მიიღოს, გამოიყენოს და ისარგებლოს ონლაინ პროდუქტებით. მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ნებისმიერ ბანკში საკრედიტო პროდუქტების აღების და გამოყენების უფლებით, სესხის (კრედიტის) აღების უფლებით, სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფათ ქონების იპოთეკის დატვირთვის უფლებით, დადოს ბანკთან შესაბამისი ხელშეკრულებები, მათ შორის ხელი მოაწეროს სასესხო, საკრედიტო, თავდებობის, ოვერდრაფტის და სხვა შესაბამის ხელშეკრულებას (თანხა, ვადა და სხვა პირობები განსაზღვროს თავისი შეხედულებისამებრ), მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია; მიიღოს ამონაწერები ანგარიშებიდან, ნებისმიერი საბანკო ცნობა (მათ შორის დავალიანების არ არსებობის შესახებ) და ნებისმიერი სახის სხვა ინფორმაცია. დაამზადოს და მიიღოს საკრედიტო ბარათი, მიიღოს PIN კოდი, ხელი მოაწეროს ყველა იმ დოკუმენტს რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული საკრედიტო ბარათის მიღება და მომსახურებასთან. დაკარგვის შემთხვევაში აღადგინოს და ისარგებლოს ინტერნეტ ბანკით.

ასევე იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ნებისმიერ საბაჟოზე, ტერმინალში (გაფორმების ეკონომიკურ ზონაში) საქართველოს ტერიტორიაზე და მიიღოს ჩემს სახელზე შემოსული ნებისმიერი სახის ტვირთი (საქონელი), საჭიროებისამებრ გახსნას კონტეინერი და მოახდინოს მიღებული ტვირთის (საქონლის) ტრანსპორტირება ნებისმიერი მიმართულებით დანიშნულების ადგილამდე; შეასრულოს დეკლარირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება (დეკლარაციის აღება, გადასახადების გადახდა და სხვ. პროცედურების შესრულება, ხელი მოაწეროს ანგარიშ-ფაქტურებს, ზედნადებებს). განაბაჟოს მიღებული ტვირთი (საქონელი) და აწარმოოს განბაჟებასთან დაკავშირებით ყველა საჭირო მოქმედება.

იყოს საზოგადოების წარმომადგენელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ყველა კომპეტენტურ ორგანოში, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, (მათ შორის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში) ქალაქის მერიაში, მერიის დაქვემდებარებაში მყოფ ნებისმიერ სამსახურებში, ადმინისტრაციულ და მუნიციპალურ ორგანოებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, საქ. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში (ანგარიშვალდებულებების შესრულების უფლებით), ჩააბაროს საზოგადოების სახელით ნებისმიერი სახის განცხადება, ცნობა, დუბლიკატი, თანხმობა და სხვა დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ხელზე პასუხი, წერილი, მიმართვა და ა. შ; წარმოადგინოს და დაიცვას საზოგადოების კანონიერი ინტერესები. იყოს წარმომადგენელი ნებისმიერ ნებისმიერ საკომუნიკაციო სამსახურში, აღირიცხოს აბონენტად, გადაიხადოს ყველა სახის გადასახადი, მოსაკრებელი.

ამასთან დაკავშირებით შეიტანოს საზოგადოების სახელით ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი, შეავსოს შესაბამისი ანკეტა, ფორმა, მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს ხელი და განახორციელოს ყველა მოქმედება დაკავშირებული ამ დავალების შესრულებასთან.

მუხლი 2. უფლებამოსილების ვადა
მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.
მინდობილობა გაცემულია უფლებამოსილების გადანდობის უფლების გარეშე.

აქტის ეგზემპლარები და დანართი
წინამდებარე აქტი შედგენილია **სამ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუს ანჟელა მანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.

წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი: **შპს "ორიენტ ლოჯიკი"-ს** ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

მე, ნოტარიუსმა, მიმნდობს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი. ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

სანოტარო მომსახურების ხარჯები:
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა # 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა - 10 (ათი) ლარი: დღგ 1.80 ლარი - თანახმად საქართველოს საგდასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა.

მიმნდობი: **შპს "ორიენტ ლოჯიკი"-ს** დირექტორი:

სახელი, გვარი _____

ნოტარიუსი **ანჟელა მანია**